ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №190

5 ივლისი 2013 წ.

დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნოდარ დუმბაძის დაბადების 85-ე წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიებების საორგანიზაციო კომისიის შექმნის შესახებ

დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნოდარ დუმბაძის დაბადების 85-ე წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას საორგანიზაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

   1.1. თამაზ ჯინჭარაძე - მუნიციპალიტეტის გამგებლის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - კომისიის თავმჯდომარე;

   1.2. დავით შარაშიძე - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე.

   1.3. ქეთევან სიხარულიძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლის დროებით შემცვლელი;

   1.4. შოთა ჩანტლაძე - ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების დირექტორი;

   1.5. თამარ კეკელიძე - ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორი;

1.6. ალექსანდრე სურმანიძე - ხიდისთავის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი;

1.7. რომან მამალაძე - ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრის დირექტორის მოადგილე;

1.8. კახა ჯინჭარაძე - ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურის „სხივის“ დირექტორი;

2. დაევალოს კომისიას შეიმუშავოს დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნოდარ დუმბაძის დაბადების 85-ე წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიებების გეგმა.

3. ეთხოვოს:

- შსს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს ჩოხატაურის რაიონული სამმართველოს უფროსს (აკაკი მაისურაძე), დახმარება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე;

- შ.პ.ს. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ჩოხატაურის ფილიალის დირექტორს (ზოია კუჭავა), ღონისძიებების მიმდინარეობისას, საჭიროების შემთხვევაში მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება.

4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს - მიხეილ უნგიაძეს;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე–ჭავჭავაძის ქ.N4.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*